ᲨᲠᲝᲛᲐ

სურათებიანი დამაგები

დამატების № 34. **ქვიტა, 6 აგვისტო. 1906 წ.** **გაზეთის № 100**

ᲨᲔᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ

მომქმედნი პირნი

ზაალ მეომარიძე, ქართველი თავადიშვილი.
ელისაბედ, მისი ცოლი.
ნინა, **ქაიხოსრო**, **თამარ** } მათი შვილები.
სანდრო, ნინას ქმარი.
ლევან ეგანაძე.
პეტრე, მოურავი.
შალვა, **ვანო** } ქაიხოსროს ამხანაგები.
მიხა, მებაღე.
დათიკო, მიხას ძმა, პროლეტარი.
ივანე, **გლეხი კაცი.**
ნინო, ივანეს ქალიშვილი.

მოქმედება სწარმოებს ქართლში, სწორედ იმ დროს, როდესაც აგრარული მოძრაობა ახლად იწყებოდა საქართველოში.

პირველი მოქმედება

ვენახი ზაალ მეომარიძისა. კაკლის ქვეშ ხალიჩა გაშლილი, ხალიჩაზე სუფრა დაფენილი. აქვე დგას მაგიდა და ორ-ფეხა სკამი. ნინო ჩაის ჭურჭელს ასუფთავებს. მაშორებით მუხის ხე დგას. მუხის ძირში ზის თამარ და გატაცებით წიგნს კითხულობს. სადამოა. ცა ნახევრად მოდრუბლულია. მზე ჩადის და მისი სხივები ხის წვერებს ეალერსება. მებაღე მიხა ნელ-ნელა მოდის თოხით ხელში და მოდიდინებს. თამარს ვერა ჭეზდავს. ხელში კიტრებით სავსე კალთი უჭირავს.

გამოსვლა პირველი

მიხა, ნინო და თამარ.

მიხა. ნინო, ე კიტრებს ნუ კრეფავთ ხოლმე! ხვალ და ზეგ ზედა ნაწილში მოკრეფა არ შეიძლება, იმიტომ რომ მორწყულია. აი ეს ვაზშმათ ეყოფათ.

ნინო. დიდი ქალბატონი ზევით წავიდა?

მიხა. ჰო. ალუბლები სულ გააოხრეს, ტოტები სულ დაწყვიტეს! ე კალათს რა ვუყო?!

ნინო. დადგი აქა და წადი!

მიხა (ჩაიცინებს) დადგმით დაედგამ, მაგრამ რათ წავიდე, როცა აქ უფრო კარგია.

ნინო (გაწითლდება). რად არის აქ უფრო კარგი?

მიხა. ეჰეი! ე ოჯახ-დაქცეული, რა ეშმაკია!.. ვითომდა არ ესმის! აქ იმიტომ არის კარგი, რომ... ზიარების მადლმა, აქა სჯობია, იმიტომ რომა შენ აქა ხარ. (შემკრთალი თავს იფხანს).

ნინო. თვალიმც გამოგეყლეტია! დამეკარგე იქითა!

მიხა (ტოტა უფრო თამამად). ყველა არ გადიდკაცდა ამ ჩვენ დროში! ხომ სულ ერთია, უნდა გათხოვდე და ჩემზედ კაი ბიჭს სად იშოვნი? ვენახის მოვლა კარგი ვიცი, მუშაც კარგი ვარ! მარჯვენაც მიკრის. შენ თითონვე გინახავს, რომ საუკეთესო მოჭიდავეები დღეობებში მიწაზედ შოლტივით დამირტყამს, სხვა რაღა გინდა?

ნინო. თავი დამანებე მეთქი! რას ჩამაცავდი, აღარ წახვალ?

მიხა. წავალ, მაგრამ... შე ოჯახ-დაქცეულო ერთი მაინც მაჩქმეტინე!

ნინო. უი, ჩემს სიცოცხლესა!

მიხა. რა დაგაკლდება, რომ ერთი მაკოცნინო კიდეცა! ზიარების მადლმა, არაფერი არ დაგაკლდება! (უხეოდ).

ნინო. იქით, დამეკარგე, აგერ თამარა მოდის!

მიხა. აი დასწყევლოს ღმერთმა! ვერ დავინახე! (თავისთვის) ხომ ვუთხარი, ესეც კარგია.. ზიარების მადლმა, ყველაფერი ვუთხარი.

თამარ. (უხეოდ) წაგნით ხელში) გამარჯობა, მიხა! რა მოიტანე?

მიხა. აი კიტრი მოგართვით, და... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, რუ უნდა დაეწყვიტო! (თოხს მხარზე კიდებს და ზეგით მიდის).

თამარ. ნინო, ნუ დამიმალავ, გიყვარს ჩვენი მებაღე?

ნინო. (გაწითლდება) უი, ჩემს სიცოცხლესა! რას მიბრძანებ!

თამარ. (აღერსიანად) მე ხომ შენი ტოლი ვარ, ნინო, ისე უნდა მიყურებდე, როგორც შენს მეგობარს და არ უნდა დამიმალო შენი გულის პასუხი. ან რისა გრცხვენიან? (გრძნობით) სიყვარული ისეთი მშვენიერი გრძნობაა! შენ ხანში თითქმის ყველანი თხოვდებიან! მითხარი, მოგწონს? (ნინო თავს დახრის) ჰო, ვხედავ, რომ მოგწონს. იმასაც მოსწონხარ? უკეველია, ამას რა კითხვა უნდა, მაშ, მალე გათხოვდები!

ნინო. მე მიხაზედ თავის ღღეში ვერ გავთხოვდები

თამარ. რატომ?

ნინო. იმიტომ, რომ მამაჩემს არ მოსწონს, მამული არა აქვსო!

თამარ. მერე რა არის, რომ მამაშენს არ მოსწონს. მამაშენი ხომ არ მისდევს ცოლად? შენ იმას უნდა გაჰყვე ცოლად, ვინც შენ მოგწონს და გიყვარს.

ნინო. რას ბრძანებ? როგორ იქნება? ვისაც დედა და მამა ამირჩევს, იმას უნდა მივთხოვდე! მე არც კი მკითხავენ, ისე ამირჩევენ საქმაროს!

თამარ. (გულზე ხელებს დაიკრეფს) ყველგან მონობა! (წავა და ისევ თავის ადგილს, მუხის ქვეშ, წამოწვება და კითხვას დაიწყებს)

გამოსვლა მეორე

ელისაბედ და მისი უფროსი ქალი **ნინა** (დაბერებულ შემოდიან)

ელისაბედ. თუ დედაშენსაც უმალავ შენი გულის დარდებს, სხვას ვის მიენდობი? რატომ არ მეტყვი, შვილო, რა გემართება? ქალაქში ამ უკანასკნელ თვეში სულ დაღვრემილი დადიოდი, ჯაერობდი უმიზეზოდ! მე მეგონა, რომ გუნებაქცევად იყავი, მაგრამ შენ გადამაჯერე. მაშ რა არის შენ თავსა? რატომ არ ეტყვი? ამ ერთს თვეში ისე საშინლად გახდი, რომ კაცი ველარ გიცნობს!

ნინა. დედა, შენ ვერ გაიგებ!

ელისაბედ. რატომ ვერ გავიგებ? შენა გგონია, რომ, რახან შენსავით ინსტიტუტში არ მისწავლია, არა მესმის რა? არა, შვილო, მე შენზედ მეტი მაინც მესმის! ჩემი გამოცდილება ცხოვრებაში შენ ანაბანას არა სჯობია?

ნინა. თავი დამანებე მეთქი! რას ჩამაცავდი, აღარ წახვალ?

მიხა. წავალ, მაგრამ... შე ოჯახ-დაქცეულო ერთი მაინც მაჩქმეტინე!

ნინა. უი, ჩემს სიცოცხლესა!

მიხა. რა დაგაკლდება, რომ ერთი მაკოცნინო კიდეცა! ზიარების მადლმა, არაფერი არ დაგაკლდება! (უხეოდ).

ნინა. იქით, დამეკარგე, აგერ თამარა მოდის!

მიხა. აი დასწყევლოს ღმერთმა! ვერ დავინახე! (თავისთვის) ხომ ვუთხარი, ესეც კარგია.. ზიარების მადლმა, ყველაფერი ვუთხარი.

თამარ. (უხეოდ) წაგნით ხელში) გამარჯობა, მიხა! რა მოიტანე?

მიხა. აი კიტრი მოგართვით, და... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, რუ უნდა დაეწყვიტო! (თოხს მხარზე კიდებს და ზეგით მიდის).

თამარ. ნინო, ნუ დამიმალავ, გიყვარს ჩვენი მებაღე?

ნინა. (გაწითლდება) უი, ჩემს სიცოცხლესა! რას მიბრძანებ!

თამარ. (აღერსიანად) მე ხომ შენი ტოლი ვარ, ნინო, ისე უნდა მიყურებდე, როგორც შენს მეგობარს და არ უნდა დამიმალო შენი გულის პასუხი. ან რისა გრცხვენიან? (გრძნობით) სიყვარული ისეთი მშვენიერი გრძნობაა! შენ ხანში თითქმის ყველანი თხოვდებიან! მითხარი, მოგწონს? (ნინო თავს დახრის) ჰო, ვხედავ, რომ მოგწონს. იმასაც მოსწონხარ? უკეველია, ამას რა კითხვა უნდა, მაშ, მალე გათხოვდები!

ნინა. მე მიხაზედ თავის ღღეში ვერ გავთხოვდები

თამარ. რატომ?

ნინა. იმიტომ, რომ მამაჩემს არ მოსწონს, მამული არა აქვსო!

თამარ. მერე რა არის, რომ მამაშენს არ მოსწონს. მამაშენი ხომ არ მისდევს ცოლად? შენ იმას უნდა გაჰყვე ცოლად, ვინც შენ მოგწონს და გიყვარს.

ნინა. რას ბრძანებ? როგორ იქნება? ვისაც დედა და მამა ამირჩევს, იმას უნდა მივთხოვდე! მე არც კი მკითხავენ, ისე ამირჩევენ საქმაროს!

თამარ. (გულზე ხელებს დაიკრეფს) ყველგან მონობა! (წავა და ისევ თავის ადგილს, მუხის ქვეშ, წამოწვება და კითხვას დაიწყებს)

გამოსვლა მეორე

ელისაბედ და მისი უფროსი ქალი **ნინა** (დაბერებულ შემოდიან)

ელისაბედ. თუ დედაშენსაც უმალავ შენი გულის დარდებს, სხვას ვის მიენდობი? რატომ არ მეტყვი, შვილო, რა გემართება? ქალაქში ამ უკანასკნელ თვეში სულ დაღვრემილი დადიოდი, ჯაერობდი უმიზეზოდ! მე მეგონა, რომ გუნებაქცევად იყავი, მაგრამ შენ გადამაჯერე. მაშ რა არის შენ თავსა? რატომ არ ეტყვი? ამ ერთს თვეში ისე საშინლად გახდი, რომ კაცი ველარ გიცნობს!

ნინა. დედა, შენ ვერ გაიგებ!

ელისაბედ. რატომ ვერ გავიგებ? შენა გგონია, რომ, რახან შენსავით ინსტიტუტში არ მისწავლია, არა მესმის რა? არა, შვილო, მე შენზედ მეტი მაინც მესმის! ჩემი გამოცდილება ცხოვრებაში შენ ანაბანას არა სჯობია?

ᲚᲪᲣᲘᲤᲔᲠᲘ.—ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲠᲔᲣᲑᲔᲠᲒᲘᲡᲐ.

ნინა. თუ იცი, რომ ინსტიტუტში ანაბანაზედ მეტს არაფერს გვასწავლიან, მაშ რაღად მიმბარე?

ელისაბედ. ყველანი აძლევენ, განათლება უნდა მივცეთ ქალსაო და მეც იმიტომ მიგბარე! თორემ, შენ არ მომიკვდე, სრულებით არა მქონია ქალის ინსტიტუტში გაზრდის სურვილი. მაგრამ შენ სიტყვას ბანზედ ნუ აგდებ: ამიხსენი, რათა ხარ დაღონებული? რა გაკლია? რატომ არა ხარ შენი ბედის კმაყოფილი? ქმარი მშვენიერი გყავს, ნასწავლი, ექიმი! ისე უყვარხარ, რომ თვალის ჩინს ურჩევნიხარ; თავისუფლებას სრულს გაძლევს, ყოველივე შენს სურვილს ასრულებს—სხვა რაღა გინდა?

ნინა. ეჰ, თავი დამანებე, დედა! ვინ გითხრა, რომ რამე მაწუხებს. ქალაქის დახშულმა ჰაერმა მაწყინა, და აი ეხლა სოფელში მოვრჩები. გუშინ ჩამოვედი და დღესვე უკეთა ვგრძნობ თავს...

ელისაბედ. შენ იცი, შვილო!

ნინა. (მტირე ბუზის შემდეგ) დედა, თამარა რად მერიდება? რამდენი ხანია არ მენახა და გუშინ, რაც აქ მე და სანდრო ჩამოვედით, ისე გულგრილად მოგვესალმა, თითქოს ჩვენ იმის წინაშე რაიმე დანაშაული მიგვიძღოდეს!

ელისაბედ შვილო, თამარასი მეც ვერაფერი გამიგია! სულ ყველასა გვლანძღავს! არაფერი არ გესმითო, უკან ჩამორჩენილები ხართო! ხმას არავის აღებინებს! არც სტუმრებთან გამოდის თავის დღეში: რა უნდა ველაპარაკო, ტუტუცები არიანო! ილიკოს ხომ იცნობ? იმას თამრო გაეცნო... აღარ მახსოვს, სადა..., საშინლად მოსწონებოდა. იმ დღეს აქ იყო, მითხრა—თქვენი ქალი მიყვარს, ცოლად მომეცითო. მე ვუთხარი, თუ თამარ უარს არ იტყვის, მე წინააღმდეგი არ ვიქნები მეთქი. დაიწყო ილიკომ ჩვენთან სიარული, მაგრამ თამრო არც ერთხელ არ ეჩვენა! შვილო, ეს ხომ უზრდელობაა! სასწავლებელში უზრდელობას გასწავლიან? ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ საქმრო სანდლით რომ ეძებო, ვერ იპოვნი! მაგან თუ ეგრე გაისტუმრა ყველანი, გაუთხოვარი დარჩება და სხვა არაფერი!

ნინა. ეგ იმიტომ არის ეგრე ნერვებ-მოშლილი, რომ მარტოკაა! არა ჰყავს აქ არც ერთი მეგობარი, რომელთანაც შეეძლოს თავის ფიქრების გაზიარება!

ელისაბედ. არაფერი არ მესმის! დიდება შენთვის ღმერთო! შვილმა დედას ვერ უნდა შესჩივლოს თავისი ჭირ-ვარამი? კარგი, ვოქვათ მე არაფერი არ მესმის, მე ვერ მივხდები თამროს ამბებს შენ ხომ, მადლობა ღმერთს, თამროზე ცოტა არ გისწავლია, რატომ შენ არ გისხნის გულსა? ან შენ რატომ მეგობრულად არ ელაპარაკები? თქვენი ვერა ვაიგებ რა! რაღაც უცნაური ხალხი გაჩნდა ამ ჩვენს დროში.

ნინა. კმარა, დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს! (ნინოს) ჩაის როდის-ღა დავლევთ? ნინო! სამოვარი მზად არის?

ნინო. ეხლავ მზად გახლდებათ!

ნინა. მამა სად წავიდა!

ნინო. ქვეითა კაკლის ქვეშ მწვადებს აწვევინებს, ის ჩაის არ მიირთმევს ხოლმე!

ელისაბედ. ნინა, აგერა თამარა სადა წოლილა! ხომ არ გაიგონა ჩვენი ლაპარაკი?

ნინა. არა, ის ისე გართულია წიგნის კითხვაში, რომ ვერაფერს ვერ გაიგონებდა.

ელისაბედ. მე წავალ, ზაალს მივხედავ. (ქვეითა მიდის).

ნინა. (ბატარა ხანს ჩაფიქრებული დგას, მერე ხელს ჩაიქნევს) რაც იყოს, იყოს! თამრო!

თამარ. (თავის ადგილიდან) რა გინდა?

ნინა. აქ მოდი, საქმე მაქვს.

თამარ. თუ საქმე გაქვს, შენ მოდი! სად ავდგე ეხლა და მოვიდე. არა მცალიან, ხომ ხედავ, ვკითხულობ!



მორჩილება.—ქანდაკება არნილდ რუბბერგისა.

ნინა. მინდა ერთს საგანზე მოგელაპარაკო, მანდ დასახდომი ადგილი არ არის, აქ კი ის სკამი დგას.



მინდვრად

თამარ. (უსმენდაგდება) რა გინდა?

ნინა. თამრო, შენ, შეამჩნიე, რომ ამ ცოტა ხანში, რაც გავთხოვდი, საშინლად გავხდი?

თამარ. ყურადღება არ მომიქცევია, მგონი ცოტათი გახდი!

ნინა. (ტოტა სიჩუმის შემდეგ) თამრო რადა ხარ ჩემზე გაჯავრებული?

თამარ. სრულებითაც არა, ფიქრადაც არ მომსვლია!

ნინა. მაშ რას მივაწერო შენი გულგრილობა? ჩემს ქმარს ხმას არც კი სცემ, ჩემთან ლაპარაკსაც ერიდები. იქნება რამე ჭორი მოგიტანეს ჩვენზე? გუშინ ისე გულგრილად დაგხვდი, რომ ყველას გაუკვირდა.

თამარ. გინდ გაუკვირდეთ და გინდ თავში ქვა იხალონ! ძალიან მედარდება, ვინ რას იფიქრებს და ან რას იტყვის ჩემზე!

ნინა. მერე, განა მაგ აზრის დაგვარად ცხოვრება შესაძლებელია? ჩვენ ნება-უნებურად უნდა ვეცადოთ რომ ყველანი კარგის აზრისანი იყვნენ ჩვენზედ, ყველა პატივსა გვცემდეს! ჩვენ საზოგადოების წევრები ვართ და თუ გვინდა ამ საზოგადოებაში ცხოვრება, ამასაც უნდა ვცდილობდეთ, რომ კარგი სახელი დავიმსახუროთ.

თამარ. (ნელა) კიდეც ეგ არის მიზეზი!

ნინა. ამას თავი დავანებოთ! მე უფროსი და ვარ შენი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე პირველი გამოგიწოდებ შენ ხელს! რომ იცოდე, რამდენი ბოღმა და ალი ტრიალებს ჩემს გულში! რომ იცოდე, რანაირი სევდა და ნაღველი მომაწვა გულზე—მაშინ კი აღარ მომერიდებოდი, არამედ ეცდებოდი შეგემსუბუქებინა ჩემი ტანჯვა! არავინა მყავს, რომ ჩემი ჭმუნვა გავუზიარო, მივანდო ჩემი დაფარული შავი ფიქრები! თამრო, მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ მაინც იქნები ჩემი მეგობარი, გამიწევ თანაგრძნობას და მიიჩევ რასმეს!

თამარ. მე რომ მცოდნოდა, რომ უბედური იყავი, კმაყოფილი არ იყავი შენის ბედისა, მაშინ, ნინა, მე თვითონ პირველი მოვიდოდი შენთან, როგორც საყვარელ დას მოგეხვეოდი და გავინაწილებდი შენს დარდს, მაგრამ შენ ისეთი მხიარული იყავ, კმაყოფილი შენის ცხოვრებით...

ნინა. კმაყოფილი! ჰო, ორ კვირას, მხოლოდ ორ კვირას ვიყავ კმაყოფილი! თამარ, უნდა გითხრა, რომ ჩემი ქმარი მეტის-მეტად პატიოსანი კაცია, ისე ვუყვარვარ, როგორც თვალის ჩინი! ყოველივე ჩემს სურვილს ასრულებს, ფეხ ქვეშ მეგება, ყოველ წამს მეალერსება. არაფერი არ მაკლია. მაგრამ რაღაც მიღრღნის გულს, თითქოს რაღაც პატარა ჭია სწოვდეს შიგნიდან ჩემს სისხლს!

თამარ. პატიოსანი კაცი! ჰო, რასაკვირველია, საზოგადოება ეგეთ კაცს აღმერთებს, იმიტომ რომ იგი მონაა მისი! თუმცა ვიცი, რომ მეწყინება, მაგრამ არ შემიძლიან ვიფარისევლო და ჩემი ნამდვილი აზრი შენ ქმარზედ არ გამოვსთქვა. რა კაცია ის კაცი, ვისაც **თავისი საკუთარი** აზრი და მიმართულება არა აქვს! ცოლის მონა, საზოგადოების მონა! ეს არის თქვენი იდეალი?! ვიცი, რომ შენი ქმარი კეთილია, ბევრს მუქთად სწამლობს, ხშირად ცრემლებსაც კი ღვრის, მაგრამ მე მაინც ეგეთი კაცი კაცად არ მიმაჩნია! მამაკაცი უნდა ძლიერი იყოს, რკინასავით მაგარი, ყოველანაირი უბედურება და ტანჯვა წარბ შეუხრელად უნდა აიტანოს, მამაკაცი უნდა იყოს სავსე მრისხანე სიდიადით, ამაყი სახით. თამამი და გულადი! იგი უნდა ჰგრძნობდეს, რომ საზოგადოებაზე მთელის თავით მაღლა სდგას, ამაყობდეს ამით და ყოველთვის მაღლიდან ღაბლა იყურებოდეს!

ნინა ჰგრძნობდეს თავის სიდიადეს და ამაყობდეს ამით! (ჩაფიქრდება) როდისღაც ვიცნობდი ეგეთ კაცს!

თამარ (კატეგორიულად). მე ეხლაც ვიცნობ ეგეთს, ამაყს, მედიდურს, ძლიერს! მისთვის არ არსებობს სიბრალული და ნაზი გრძნობანი, იგი ყველა საქმეში მრისხანე და შეუპოვარია! არა სწამს ზნეობრივი კანონები, უარსა ყოფს თანამედროვე კულტურას და კაცობრიობის მიზანს ძლიერ პიროვნების აღორძინებაში ჰხედავს. ადამიანი ისე უნდა მოიქცეს, როგორც თვითონა სურს და როგორც უნდა—აი მისი დევიზი!

ნინა. მე რომ ვიცნობდი, ის ეგეთი არ იყო. იმას სწამდა ზნეობა; სწამდა რომ სინიდისი უნდა ხელმძღვანელობდეს კაცს ყველა მოქმედებაში. ის იყო ძლიერი, შეუპოვარი, მაგრამ ამასთან ერთად კეთილი და შემბრალებელი! (დაბალის

ავტომობილი, გაკეთებული ინგლისში 1832 წელს.

ᲜᲘᲜᲐ. შენ ჩემ ადგილას როგორ მოიქცეოდი?

ᲗᲐᲛᲐᲠ. ნეტავი შემთხვევა მოგვეცეს ისე მოვიქცე, ისეთი საქმე ჩავიდინო, რომ ფეხით გავთელო საზოგადოების აზრი! ყველანი აყაყანდებიან: ეს რა ჰქნა, რა ჩაიდინაო, ყველა გადამმტერება, ყველას შევეჯავრები, მე კი ამაყად გამოვალ და ვიტყვი: „ისე მოვიქეცი, როგორც ჩემი ნება იყო. თქვენ თქვენთვის ეგდეთ და სხვის საქმეში კი ნუ ერევით, მე ვამაყობ იმით, რომ ეგრე აგაყაყანეთ!“

ᲜᲘᲜᲐ. რას ამბობ, თამრო?! ქმარს რომ თავი დავანებო, ხომ ყველა იმას იტყვის, უნამუსო იყოო! ის მირჩევნია სამარეში ვიწვე, ვიდრე გავიგო, რომ ეკეთ ცილსა მწამებენ! არა, ისევ ქმართან ცხოვრებას ვარჩევ, თუნდაც ჭირივით შემეჯავროს! ავიტან იმის ალერსს, ხვევნა-კოცნას, მთელ თვეებს მწუხარებაში გავატარებ, დავჭლექდები, მაგრამ იმასთან კი ვიცხოვრებ!

ᲗᲐᲛᲐᲠ. ოჰ, რა საცოდავი რამა ხარ! ცხოვრება ბრძოლაა! ყოველი კაცი თავის ბედნიერებისათვის იბრძვის, შენ კი ბედის წინ ქედი მოგიხრია! შენ სიცოცხის მიზანს იმაში ხედავ, რომ საზოგადოებაში კარგი სახელი გქონდეს. ამ სახელის გულისათვის ატყუებ იმ საზოგადოებას, იმიტომ რომთავს ისე აჩვენებ. ვითომ ძალიან ბედნიერი ხარ; ატყუებ შენ ქმარს იმიტომ, რომ ეუბნები მიყვარხარო, როდესაც გეზიზღება, სტანჯავ და აუბედურებ შენს თავს, შხამით ავსებ შენს სიცოცხლეს, მერე რისთვის? რატომ ამ კითხვაზედ არა ფიქრობ? მე რომ შენ ადგილას ვიყო, ერთ წამსაც არ ვიყოყმანებდი. იმისი როგორ გეშინიან, რას იტყვის და იპორავებს საზოგადოება. საზოგადოება უნდა გეჭულდეს იმიტომ, რომ იგი თავისუფლებას გვისპობს!

ᲜᲘᲜᲐ. არა, თამრო, თავის დღეში არა! სიკვდილი მირჩევნიან ვიდრე ცუდი სახელის დამსახურება. საზოგადოებაში ველარ უნდა გამოვჩნდე. თეატრში ან ბაღში თუ წავედი ყველა მე დამიწყებს ყურებას; ერმანეთს მოათითებენ ჩემკენ და იტყვიან: აი, იმან დაანება თავი ქმარს, სხვა შეუყვარდა და იმიტომ გაექცა ქმარს! და კიდევ, ვინ იცის, რას მოაჭორებენ! ღმერთმა დამიფაროს ეგეთის ბედისაგან!

(ზაალი და ედისაბედ ქვეიდან მოდიან. ზაალს შამფურები მწვადით მოაქვს.)

ᲜᲘᲜᲐ. დაჩუმდი, ქვეიდან დედა და მამა მოდიან; ნინომაც სამოვარი მოიტანა. რა ვუყო, თამრო, ბედს უნდა დავემორჩილო, მეტი რა გზაა! **შალვა სათაძე.**

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ხ. რცხილაძე.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო ეოველ დღიური გაზეთი

„ᲛᲠᲝᲛᲐ“

სურათებიანის დამატებით პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 3 მანეთი და 50 კაპ.